

ინგლისური ლექსიკური ერთეულის tired და მისი ქართული
კორელატების სემანტიკური ანალიზი

**Semantic analysis of an English lexical item “tired” and its Georgian
correlates.**

მარიამ იორდანიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Mariam Iordanidze

Tbilisi State University

აბსტრაქტი:

The paper analyzes the origin and usage of the lexical unit “tired” in English and Georgian. Through a contrastive analysis of these languages, the paper focuses on the primary and secondary meanings of this word, as well as its usage in phraseological units. Besides, the research has revealed the current usage of the word “tired” in diverse scientific fields.

In general, exploring the etymology and semantics of any word is a very interesting process, particularly in case of different languages like English and Georgian, where the word under analysis is characterized by diversity of meanings and abundance of synonyms. Analysis of the usage of this word in fiction literature has made the research process even more interesting.

Discussion and comparison of the semantics of the word “tired” and its Georgian correlate has revealed similarities and differences in the semantic nuances of the word in the two languages under analysis.

საკვანძო სიტყვები: დაღლილი, ეტიმოლოგია, სემანტიკა, კორელატი.

Keywords: Tired, etymology, semantics, correlate

შესავალი

მოცემული სტატია შეეხება ინგლისურ სიტყვას „tired”, მის ლექსიკურ და ლინგვისტურ ანალიზს და მის კორელატებს ქართულ ენაში. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ემპირიული და თეორიული მასალა აღებულია კემბრიჯის ონლაინ ლექსიკონიდან, ონლაინ ეტიმოლოგიური ლექსიკონიდან, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან და სხვა ინტერნეტ წყაროებიდან, სადაც მოვიძიე ინფორმაცია სიტყვების წარმოშობაზე, მათ სინონიმებზე და ა.შ.

Tired- სემანტიკური ანალიზი ინგლისურ ენაში

სიტყვა „tired” ორივე საკვლევ ენაში წარმოადგენს გაზედსართავებულ მიმღეობას და ნიშნავს დაღლილს, „*exhausted, fatigued, weary*“¹. ინგლისურ ენაში ის გამოიყენება ისეთი მდგომარეობის აღსანიშნავად, როგორცაა

- „*in need of rest or sleep*“². მაგალითად: “*I'm so tired, I need a nap.*”³

საინტერესოა თავად სიტყვის წარმოშობა. ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა tired-ის წარმოშობა ბუნდოვანია. ამერიკელი ლინგვისტი ვოტკინსი თვლიდა, რომ ეს სიტყვა შესაძლოა მომდინარეობდეს პროტო-გერმანიკული სიტყვიდან „*teuzon*”, რომელიც მიღებულია პროტო ინდო-ევროპულ ძირ „*deu-*”, -ზე სუფიქსის დართვით.⁴ ამას გარდა, არსებობს მოსაზრება, რომ სიტყვა tired მომდინარეობს ძველი ინგლისური სიტყვიდან „*teorian*” რაც ნიშნავდა „*to fail, cease; become weary; make weary, exhaust*“⁵ (შენწყვეტა, დაღლა, დაქანცვა)

გარდა ძირითადი მნიშვნელობებისა, კვლევამ გამოავლინა საკვლევ სიტყვის კიდევ რამდენიმე პერიფერიული მნიშვნელობაც. მაგალითად, სიტყვა tired შეგვიძლია გამოვიყენოთ

- “*(of a thing) no longer fresh or in good condition*”,⁶ ანუ ძველი პროდუქტისა ან რაიმე ნივთის აღსანიშნავად, რომელიც არ იმყოფება ახალ ან კარგ და სახარბიელო მდგომარეობაში.

¹ <https://www.etymonline.com/word/tired> (ნახვა: 02.06.2023)

² <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/tired> (ნახვა: 02.06.2023)

³ <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/tired> (ნახვა: 02.06.2023)

⁴ deu-“ ნიშნავდა „to lack, be wanting. <https://www.etymonline.com/word/tired> (ნახვა: 02.06.2023)

⁵ <https://www.etymonline.com/word/tired> (ნახვა: 02.06.2023)

⁶ <https://www.encyclopedia.com/humanities/dictionaries-thesauruses-pictures-and-press-releases/tired>

(ნახვა: 02.06.2023)

მაგალითად: *“a few boxes of tired vegetables.”*⁷

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მნიშვნელობის ცვლილებასთან (change of meaning), კერძოდ, თუ ვიხელმძღვანელებთ გინზბურგის წიგნით, დენოტაციური მნიშვნელობის გაფართოვებასთან მეტაფორიზაციის ხარჯზე, ვინაიდან, სიტყვას tired თავდაპირველად არ ჰქონია „ძველის“ მნიშვნელობა და ის დროთა განმავლობაში მნიშვნელობის გაფართოვების შედეგად შეიძინა (გინზბურგი, 1979: 31).

გარდა ამისა, სიტყვა „tired“ გამოიყენება უინტერესოს, ბანალურის მნიშვნელობით:

- „to *describe people, ideas, or subjects* that are not *interesting* because they are very *familiar*:”⁸

მაგალითად: *“It's always the same tired old faces at these meetings.”*⁹

საკვლევი სიტყვის დენოტაციური მნიშვნელობის გარდა, კვლევის პროცესში გამოვლინდა კონოტაციური მნიშვნელობაც, კერძოდ, სიტყვას „tired“ ნეგატიური ემოციური მუხტი აქვს, შესაბამისად, მისი კონოტაციური მნიშვნელობაც უარყოფითია.

ინგლისურ ენაში გვაქვს მრავალი იდიომი თუ ფრაზეოლოგიური ერთეულიც, სადაც გამოიყენება სიტყვა „tired“. მაგალითად, ასეთია:

- be tired of something or somebody. - მობეზრება რაიმე საქმიანობის კეთებით ან ვინმესთან ურთიერთობით;
- იგივე მნიშვნელობისაა
Tired of doing something

ზემოთ დასახელებული ორი მაგალითი ერთმანეთის სინონიმებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ მათ შორის მინიმალური განსხვავება მაინც არსებობს.

ინგლისურ ენაში არსებობს საკვლევ სიტყვასთან დაკავშირებული არაერთი იდიომატური გამონათქვამი. განვიხილავ რამდენიმე მათგანს:

- To be dead tired- რაც ნიშნავს ძალიან დაღლილ მდგომარეობაში ყოფნას.
- Dog tired- დაქანცულ მდგომარეობაში.

⁷ <https://www.encyclopedia.com/humanities/dictionaries-thesauruses-pictures-and-press-releases/tired> (ნახვა: 02.06.2023)

⁸ <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/tired> (ნახვა: 02.06.2023)

⁹ <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/tired> (ნახვა: 02.06.2023)

ეს ორი ფრაზაც სინონიმურია ერთმანეთისა, რადგან ორივე გამოიყენება უკიდურესი დაღლილობის აღსანიშნავად.

- ასევე, *tire someone out*, რომლის ერთ ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ზმნა „tire“, კემბრიჯის ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს *“to begin to feel as if you have no energy and want to rest or go to sleep, or to make someone feel this way”*¹⁰ ანუ ვინმეს დაღლას. მაგალითად: *“Even walking up the stairs at work tires me these days.”*¹¹
- *Tired out*, რომელიც ასევე პირდაპირ კავშირშია სიტყვასთან *tired* და ნიშნავს *„very much in need of rest or sleep”*¹²
- *I am dead beat*- რომლის კორელატი ქართულ ენაშიც შეგვიძლია ვიპოვოთ და ეს არის „მკვდარივით დაღლილი“, გამოიყენება უკიდურესად დაღლილი მდგომარეობის აღსანიშნავად.

კვლევის პროცესში მოვიპოვე საინტერესო შესიტყვება: *„tired and emotional“*, რომელიც გამოიყენება ნასვამი მდგომარეობის აღსანიშნავად და წარმოადგენს ზრდილობიან, ევფემისტურ სინონიმს სიტყვებისა *„ნასვამი“* ან *„მთვრალი“*.

როგორც უკვე აღვნიშნე, სიტყვა *„tired“* ნაწარმოებია *tire* ფუძეზე (*to begin to feel as if you have no energy and want to rest or go to sleep, or to make someone feel this way*)¹³ -d დენტალური სუფიქსის დართვით, რაც მას განსაზღვრების ფუნქციას ანიჭებს. შესაბამისად, ის მიღებულია ნამყო მიმღეობით, ისევე როგორც ძალიან ბევრი ინგლისური ზედსართავი სახელი.

ინგლისურ ენაში ჩვენ შევხვდებით მოცემული ძირიდან ნაწარმოებ არაერთ სიტყვას მაგალითად: *tireless, tiresome, tiredness, tiredly, tirelessly* და ა.შ.

სიტყვას *„tired“* უამრავი სინონიმი აქვს ინგლისურ ენაში. კოლინზისა და კემბრიჯის ლექსიკონების მიხედვით, ესენია: *exhausted, fatigued, weary, spent, drained, sleepy, worn out, enervated, burned out, drowsy, overtired* და კიდევ მრავალი. ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვები მათი წარმოშობის მიხედვით რომ დავაღაგოთ, მივიღებთ შემდეგნაირ ჯგუფებს: ლათინურიდან შემოსულია სიტყვები- *exhausted* და *enervated*.

ფრანგულიდან- *fatigued*.

Weary, drained, sleepy და *burned out* ინგლისური წარმოშობის სიტყვებია, რომელთაც გერმანიკული ფესვები აქვთ.

¹⁰ <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/tire> (ნახვა: 02.06.2023)

¹¹ <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/tire> (ნახვა: 02.06.2023)

¹² <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/tired-out?q=tired+out%5C> (ნახვა: 02.06.2023)

¹³ <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/tire> (ნახვა: 02.06.2023)

Spent ლათინური წარმოშობის სიტყვაა.

რაც შეეხება worn out, drowsy და overtired, ისინი ასევე ძველი ინგლისურიდან იღებენ სათავეს.

საკვლევი სიტყვის ანტონიმებიც ასევე მრავლად გვაქვს წარმოდგენილი ინგლისურ ენაში: fresh, lively, refreshed, energetic, alive and kicking და სხვანი. ეს ანტონიმები წარმოშობის მიხედვით რომ გავანაწილოთ, მივიღებთ შემდეგნაირ სურათს:

Fresh, refreshed - ამ ორი სიტყვის წარმოშობა უკავშირდება ძველ ფრანგულ სიტყვებს „fresche” და „refreschier”.

ძველი ინგლისურიდან მომდინარეობს სიტყვა lively და გამოთქმა alive and kicking.

ხოლო, რაც შეეხება energetic-ს, ის ბერძნული წარმოშობისაა.

Tired- ქართული კორელატების სემანტიკური ანალიზი

ქართულ ენაში იმ მდგომარეობის გამოსახატად, რასაც ინგლისურში სიტყვა „tired“ აღნიშნავს, გამოიყენება სიტყვა „დაღლილი“, რომელიც ასევე გაზედსართავებულ მიმღეობას წარმოადგენს და ნაწარმოებია ძირიდან „ღლა“. შესაბამისად, ინგლისური ვარიანტის მსგავსად, ეს სიტყვაც ნამყო მიმღეობისგანაა მიღებული. როგორც ამას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი გვეუბნება, დაღლა ნიშნავს „რაიმეს კეთებით, შრომით, სიარულითა და სხვ. ძალ-ღონის გამოლევას, დაქანცვას“¹⁴. შესაბამისად, დაღლილი ნიშნავს რაიმეს კეთებით ძალ-ღონე გამოცლილ ადამიანს.

მაგალითად: „მეტის მეთად დაღლილსა და მოქანცულ მარინეს ჩქარა მოსტაცა ძიღმა თვალები“ (ნინოშვილი, 1989, გვ. 10)

ქართულ ენაში გვაქვს გამონათქვამები და სიტყვები, რომლებიც სინონიმურია სიტყვისა „დაღლილი“, ესენია: დაღლილ-დაქანცული, დაღლილ-დანყვეტილი, მოღლილ-მოქანცული, დაქანცული, მოქანცული, ნამგზავრი, მაშვრალი, დამაშვრალი, არაქათგამოცლილი, არაქათგამოლევული, ქანცგამოლევული, განცგანყვეტილი, ღონემიხდილი, დაოსებული(ანუ დაღლილი ტირილით ან სიცხილით), წელში განყვეტილი, წელში გამწყდარი, მისავათებული და კიდევ ბევრი სხვა.

14

<https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%90>

(ნახვა: 02.06.2023)

ინგლისური ენის მსგავსად, აქაც შეგვიძლია ვაწარმოოთ სიტყვები ფუძე „დალლა“ ზე სხვადასხვა აფიქსის დართვით. მაგალითად: დალლილობა, დალლილად, დაუღლეელი, დამღლეელი, დასაღლეელი და ა.შ.

გვაქვს რამოდენიმე საინტერესო იდიომიც, რომელთა მნიშვნელობა უკავშირდება სიტყვებს „დალლილი, დაქანცული“. მაგალითად, ესენია:

- სიქის გაცლა- ძალიან დალლა, დაქანცვა.
- ქანცის გამოღევა- დასუსტება, ძალ-ღონის გამოცლა, არაქათის გამოღევა.
- ილაჯის განყვეტა, ქანცის განყვეტა- დაქანცვა, დასუსტება, ძალის გამოცლა.
- წელის მონყვეტა- დაქანცვა, ილაჯის განყვეტა, ძალის გამოღევა.

რაც შეეხება „დალლილი“-ს ანტონიმებს, ესენია: დასვენებული, მოსვენებული, ენერგიული, ცოცხალი და სხვანი.

ძალიან საინტერესოა საკვლევი სიტყვისა და მისი სინონიმების გამოყენება მხატვრულ ლიტერატურაში. მაგალითად, გურამ დოჩანაშვილი (2011) სიტყვას „დალლილი“ იყენებს შემდეგ წინადადებაში:

- „*დოლის უთავბოლო ფეთქვა დალლილი ურმების გულისცემას ჰგავდა.*“ (გვ.50)

როგორც მოგეხსენებათ, ურემს არ შეუძლია იყოს დალლილი და მასზე ადამიანის თვისების მიწერით დოჩანაშვილი მიმართავს მხატვრულ ხერხს, გაპიროვნებას.

ასევე, მერი ჭელიძეს (1990) წერილში „მკვდრის მზის“ ფილოსოფიური საზრისი“ ვხვდებით შემდეგ წინადადებას:

- „*მკვდრის მზე ყველა მოკვდავთათვის როდი ამოდის, ეს დალლილი მზე იმათთვის აშუქებს, ვინც ღირსეულად კვდება.*“ (გვ.128)

აქ ასევე გვაქვს გამოყენებული მხატვრული ხერხი გაპიროვნება.

დასკვნა

რომ შევაჯამოთ, ორი საკვლევი ენის ემპირიული მასალის შედარების საფუძველზე დავინახეთ, რომ სიტყვის „tired“ და მისი კორელატის „დალლილი“ მნიშვნელობები ორივე ენაში თითქმის იდენტურია და გამოიყენება ერთი და იგივე მდგომარეობის აღსანიშნავად, თუმცა, იმის გამო, რომ სიტყვა „tired“ ინგლისურ ენაში პოლისემანტურია და, დალლილთან ერთად, რაიმეს სიძველესაც აღნიშნავს, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევი ინგლისური სიტყვა და მისი ქართული კორელატი სრულიად იდენტურები არ არიან. რამდენადაც ფიზიკური თუ გონებრივი დალლილობა ყველა ადამიანისთვის ნაცნობი და ბუნებრივი მდგომარეობაა, ორივე საკვლევი ენაში გამოვლინდა დალლილობის გამომხატველი

მრავალი ლექსიკური ერთეული, სინონიმი, ანტონიმი, ფრაზეოლოგიური ერთეული და იდიომი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ginzburg. R.S. (1979). *A Course in Modern English Lexicology*. Moscow: Vysšaja Škola.
2. დოჩანაშვილი. ე. (2011). *სამოსელი პირველი*. გამომცემლობა: „მერიდიანი“.
3. ნინოშვილი.ე. (1989). *გოგია უიშვილი*. ამოღებულია:
<https://mundusi.wordpress.com/wp-content/uploads/2014/02/gogia-uisvili.pdf>
4. ჭელიძე. მ. (1990). „*მკვდრის მზის*“ ფილოსოფიური საზრისი. ურნ. „მნათობი“. თბილისი. N6.
5. გენია.ჯი: <http://genia.ge/?p=34267>
6. ილიომების ონლაინ ლექსიკონი: <https://englishbyday.com/tired-idioms/>
7. კემბრიჯის ონლაინ ლექსიკონი:
<https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/tired>
8. კოლინზის ლექსიკონი: <https://www.collinsdictionary.com/dictionary/english-thesaurus/tired>
9. ონლაინ ეტიმოლოგიური ლექსიკონი: <https://www.etymonline.com/word/tire>
10. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი:
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=17&t=4379>
11. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: <http://www.ena.ge/explanatory-online>
12. ქართული ლექსიკონი: <https://www.ganmarteba.ge/>

ავტორის შესახებ:

მარიამ იორდანაძე არის თსუ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი. მის მთავარ ინტერესს სხვადასხვა თემებზე კვლევითი ნაშრომებისა და ანალიზების წერა წარმოადგენს. იგი იმედოვნებს, რომ ცნობისმოყვარე და მიზანმიმართული ხასიათის დახმარებით მიაღწევს მის მიზანს, გახდეს პროფესიონალი მწერალი.

About the author:

Mariam Iordanidze is a fourth-year student in the BA program in English Philology. Her primary interests include writing research papers and analyses about various topics. Because of her curiosity and passionate character, she hopes to achieve her long-term goal, of becoming a professional writer.

Email: mariam.iordanidze961@hum.tsu.ge

სამადლობელი:

მინდა გულწრფელი მადლიერება გამოვხატო ჩემი ხელმძღვანელის, ირინა დემეტრადის მიმართ. მისი მხარდაჭერის, რჩევებისა და მითითებების საშუალებით მე შევძელი გამეღრმავებინა და დამეხვეწა ჩემი კვლევითი ნაშრომი. ძალიან მადლობელი ვარ, რომ ასეთ პროფესიონალ, მოტივირებულ და დეტალებზე ორიენტირებულ ადამიანთან მუშაობის შესაძლებლობა მომეცა.

Acknowledgments:

I would like to thank my supervisor, Irina Demetradze, and express my sincere gratitude for her consistent support. She provided encouragement and was always willing to assist in any way she could throughout the research process. Her guidance and advice allowed me deepening and refining my research paper. I am very grateful to have had an opportunity to work with such professional, motivating and detail-oriented person.